# ჩვენ გაწვდით ინფორმაციას არაჰორმონული კონტრაცეფციის შესახებ ხოლო გადაწყვეტილებას

# იღებ შენ!



## ოჯახის დაგეგმვა გაძლევს შანსს

- თავიდან აიცილო არასასურველი ორსულობა;
- თავად განსაზღვრო შვილების სასურველი რაოდენობა;
- არეგულირო ორსულობებს შორის ინტერვალი;
- შეინარჩუნო ქალის ჯანმრთელობა;
- ოჯახში დაამკვიდრო სიმყუდროვე და ჰარმონიული ურთიერთობები;
- განახორციელო ცხოვრების მომავალი გეგმები (განათლება, ფინანსური სტაბილურობა, კარიერული წინსვლა).

## როდის მივმართოთ რჩევისთვის:

- თუ თქვენ ახლახანს დაიწყეთ სქესობრივი ცხოვრება;
- იმშობიარეთ, ჩაიტარეთ საკეისრო კვეთა;
- გაიკეთეთ აბორტი;
- დაქორწინდით, მაგრამ შვილების ყოლა ჯერჯერობით არ გსურთ;
- გყავთ შვილები და აღარ გსურთ მეტი შვილის გაჩენა;
- არ იცით, გამოიყენოთ თუ არა კონტრაცეფცია თქვენს ასაკში, ან ეჭვობთ, თუ რამდენად მისაღები იქნება თქვენთვის ესა თუ ის მეთოდი.

# კალენდარული მეთოდი

## მოქმედების მექანიზმი

დაორსულების თვალსაზრისით სარისკო-დღეების განსაზღვრა, (არაფერტილური და ფერტილური დღეები) და ფერტილურ დღეებში სქესობრივ კონტაქტზე უარის თქმა, ეხმარება ქალს განახორციელოს სქესობრივი კავშირი დაორსულების რისკს გარეშე.

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 75-80%–ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 ქალიდან 20-25 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობები

- ოჯახის დაგეგმვის ბუნებრივი მეთოდია;
- არ აღენიშნება გვერდითი მოვლენები.

## ნაკლოვანებები

- არ არის მაღალეფექტური;
- საჭიროა სქესობრივი კავშირისგან თავის შეკავება;
- არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები (სგგი) ინფექციებისგან.

## მითი

ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია.



## შეწყვეტილი სქესობრივი აქტი მოქმედების მექანიზმი

შეწყვეტილი სქესობრივი აქტი ხელს უშლის სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედის შეხვედრას და განაყოფიერებას. ამ მეთოდის გამოყენებისას საშოდან ასოს გამოღება უნდა მოხდეს ეაკულაციამდე (სპერმის გამონთავისუფლება).

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 80%-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 ქალიდან 20 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობები

- ოჯახის დაგეგმვის ბუნებრივი მეთოდია;
- არ მოითხოვს ფინანსურ დანახარჯებს;
- ოჯახის დაგეგმვაში მამაკაცი უშუალოდ არის ჩართული;
- არ აღინიშნება გვერდითი მოვლენები.

## ნაკლოვანებები

- არ არის მაღალეფექტური;
- არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები (სგგი) ინფექციებისგან.

## მითი

სპერმა არც ერთ შემთხვევაში არ ხვდება საშოში.

# ლაქტაციური ამენორეის მეთოდი

## მოქმედების მექანიზმი

ჩვილის სწორად მუძუთი კვების დროს ჭირველი 6 თვის განმავლობაში წყდება კვერცხუჯრედის მომწიფების გამომწვევი ჰორმონების გამომუშავება, რაც იცავს დაორსულებისგან.

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 98 %-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 დან 2 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობები

- ოჯახის დაგეგმვის ბუნებრივი მეთოდია;
- არ მოითხოვს ფინანსურ დანახარჯებს;
- არ აღინიშნება გვერდითი მოვლენები;
- მშობიარობის შემდგომ დაუყონებლივ იწყება.

## ნაკლოვანებები

- ვერ გამოიყენებენ ქალები, რომლებიც შვილს ძუძუთი არ კვებავენ;
- დამოკიდებულია ლაქტაციური ამენორეის მეთოდის კრიტერიუმების და ჩვილის სწორ კვებაზე ანუ კვების ინტერვალების დაცვაზე;
- მეთოდის გამოყენების ხანგძლივობა შეზღუდულია;
- არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები (სგგი) ინფექციებისგან.

## მითი

იცავს დაორსულებისგან შერეული კვების შემთხვევაშიც.



# ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲓᲝᲛᲘ (ᲞᲠᲔᲖᲔᲠᲕᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘ)

## ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘ

მამაკაცისა და ქალის კონდომები ბარიერული საშუალებაა. ისინი ხელს უშლიან კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შეხვედრას.

## ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲝᲑᲐ

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 88-95 %-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 დან 5-12 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲔᲑᲘ

- არ არის აუცილებელი მიმართოს ექიმს;
- იცავს როგორც სგგდ, აივ/შიდსისგან ასევე არასასურველი ორსულობისგან;
- ამცირებს საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკს.

## ნაკლოვანებები

- კავშირი აქვს სქესობრივ აქტთან;
- არასწორი მორგების შემთხვევაში შესაძლოა დაზიანდეს (გაიხეს).

## მითი

შეიძლება განმეორებით გამოყენება.



# საშოს დიაფრაგმა, საშვილოსნოს ყელის ჩაჩი

## მოქმედების მექანიზმი

დიაფრაგმა ბარიერული დრეკადი რეზინის საშუალებაა, იგი თავსდება საშოში და ფარავს საშვილოსნოს ყელს, იცავს მასში სპერმატოზოიდების მოხვედრისგან.

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 92-96 %-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 დან 4-8 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობა

იცავს საშვილოსნოს ყელის კიბოსგან, ზოგიერთი სგგდ-სგან.

## ნაკლოვანებები

- კავშირი აქვს სქესობრივ აქტთან;
- იცავს ზოგიერთი სქესობრივი გზით გადამდები ინფექციისაგან;

## მითი

შეიძლება განმეორებით გამოყენება.

## სად არის ხელმისაწვდომი

აფთიაქებში



# სპერმიციდები

## მოქმედების მექანიზმი

სპერმიციდები ქიმიური ნივთიერებაა, რომელიც ანადგურებს სპერმატოზოიდებს. ეფექტურობის გასაძლიერებლად დიაფრაგმასა და სპერმიციდებს ერთად იყენებენ.

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 92-96 %-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 დან 4-8 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობები

- ეფექტურია დაუყოვნებლივ;
- შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც დამხმარე მეთოდი, კონტრაცეპციის სხვა მეთოდებთან ერთად;
- დასაშვებია მეძუძური კვების დროს;
- არ იწვევს გვერდით ეფექტებს;
- ადვილად გამოსაყენებელია.

## ნაკლოვანებები

- კავშირი აქვს სქესობრივ აქტთან;
- ეფექტურობისთვის აუცილებელია ინსტრუქციის დაცვა;
- შეიძლება გამოიწვიოს ალერგია;
- არ იცავს ყველა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციისგან.

## მითი

მოქმედებს 8-10 სთ-ზე დიდხანს.

## სად არის ხელმისაწვდომი

აფთიაქებში



# საშვილოსნოსშიგა საშუალებები (სპირალები)

## მოქმედების მექანიზმი

საშვილოსნოს ღრუში მოთავსებული სპირალი ხელს უშლის სპერმატოზოიდების გადაადგილებას, კვერცხუჯრედის მომწიფების პროცესს და კვერცხუჯრედის მიმაგრებას საშვილოსნოს კედელზე.

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 98-99%-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 დან 1-2 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობა

ახასიათებს ხანგრძლივი ეფექტი. 3-5-10 წელი.

## ნაკლოვანებები

- საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას;
- ჩადგმიდან 3თვის განმავლობაში ხშირია მენსტრუაციის გაძლიერება;
- არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები (სგგი) ინფექციებისგან.

## მითი

შესაძლებელია მისი რეგულარული გამოყენება.

## სად არის ხელმისაწვდომი

სამშობიარო სახლებსა და სტაციონალურ გინეკოლოგიურ განყოფილებებში.



# ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲪᲔᲤᲪᲘᲘᲡ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ

## ᲥᲐᲚᲘᲡ (ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲝᲡᲜᲝᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲙᲚᲣᲖᲘᲐ) ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲢᲔᲠᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ (ᲕᲐᲖᲔᲥᲢᲝᲛᲘᲐ)

## ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘ

საშვილოსნოს მილების ქირურგიული გზით გადაკვანძვა ხელს უშლის კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შერწყმას. მამაკაცის სტერილიზაცია - ვაზექტომია იგი გულისხმობს სპერმატოზოიდების გამტარი მილის მექანიკურ ბლოკირებას, ამ დროს სპერმა არ შეიცავს სპერმატოზოიდს. არ ცვლის მამაკაცის ქცევას, ხმას, ეაკულატის მოცულობას, სქესობრივ ქცევას.

## ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲝᲑᲐ

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 99 %-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 დან 1 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ

გავლენას არ ახდენს მენსტრუალურ ციკლსა და ენდოკრინულ ფუნქციაზე. არ ახდემს გავლენას სქესობრივ ცხოვრებასა და ფუნქციებზე.

## ნაკლოვანება

მეთოდი შეუქცევადია, ამ მეთოდის გამოყენების შემდეგ შეუძლებელია შვილოსნობა.

## მითი

შესაძლებელია მილებზე კვანძის გახსნა და ფერტილურობის აღდგენა.

## სად არის ხელმისაწვდომი

სამშობიარო სახლებსა და გინეკოლოგიურ განყოფილებებში.



# გაითვალისწინე !!!

## ქალი შესაძლებელია დაორსულდეს

- პირველივე სქესობრივი აქტის შედეგად;
- ნებისმიერი ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალების არასწორად გამოყენებისას;
- ისე რომ მისი საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეული არ იყოს;
- ცოცხალი სპერმატოზოიდების მოხვედრისას საშოში, ნებისმიერი სქესობრივი კავშირის შედეგად;
- შეწყვეტილი სქესობრივი აქტის შემთხვევაში;
- მენსტრუალური ციკლის დროს.

სწორად შერჩეული კონტრაცეფცია თავიდან აგაცილეთ ხელოვნური აბორტის საჭიროებას და აბორტით გამოწვეულ, როგორც ახლო (მცირე მენჯის ღრუს ანთებითი დაავადებები, სისხლდენა, პერფორაცია), ასევე შორეულ (უშვილობა, მენ-სტრუალური ციკლის დარღვევა, საშვილოსნოს გარე ორსულობა) გართულებებს.

## მოგვმართე კონსულტაციისთვის და გაიგე მეტი შენი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ

კონფიდენციალური **ონლაინ-კონსულტაციისთვის**
მოქმედებს ვებ გვერდი:

**www.youth-counceling.ge**

ყოველდღე კვირის გარდა 14:00-17:00 საათამდე.
შესაძლებელია შეტყობინების დატოვება.
ექიმ რეპროდუქტოლოგის
**პირადი კონსულტაციისთვის** მიმართეთ ასოციაცია
ჰერა XXI-ის ახალგაზრდულ-მეგობრულ ცენტრს
მისამართზე: თბილისი, გამსახურდიას გამზ.
IIკვარტალი, 9 კორპ., ბ 2
კონსულტაციის მისაღებად აუცილებელია
წინასწარ დარეკოთ და ჩაეწეროთ ნომერზე:

**2 14 28 53**

მოქმედი ელექტრონული მისამართია
heracounceling@caucasus.net

## მიიღე სწორი ინფორმაცია ანონიმურად და უფასოდ

www.hera-youth.ge

www.rfsu.se